თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4799539

ნომერი: AR1725237

თარიღი : 19.12.2019

გაცემის თარიღი : 20.12.2019

გაცნობის თარიღი : 23.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნინო რამიშვილის ქუჩა N3ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ გოცირიძე პ/ნ 01017005319
- ქ.თბილისი ,გოირგი ახვლედიანის ქ.#8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 დეკემბერს NAR1725237 განცხადებით მომართა ბესარიონ გოცირიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის

11 დეკემბრის №4788097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისის №1294389 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოქალაქე მიხეილ ქორქაძის და ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჯეობილდი–2004"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.14.005.196) შერეული ფუნქციის ობიექტის (საოფისე,კომერციული, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო 2014 წლის 11 ივნისის №1314358 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 ივნისიდან 2015 წლის 11 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2016 წლის 15 ივლისის N2715499 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა 2014 წლის 29 მაისის №1294389 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული სარდაფის სართულის გეგმები -10.550, -6.550 და -3.400 ნიშნულებზე და ასევე I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI სართულების გეგმები ჩანაცვლდა 06.07.2016 წლის NAR1407586 განაცხადით წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით. ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 4504.80 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 2399.86 კვ.მ, საოფისე ფართობი: 232.57 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 486.82 კვ.მ, სარდაფის ფართობი: 322.71 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 5.62 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 735.22 კვ.მ.
სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის ქუჩა N3ა-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.14.005.196), მრავალფუნქციური კომპლექსის +38.81 ნიშნულზე არსებული გადახურვის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 დეკემბრიდან 2020 წლის 11 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები საერთო ფართობი 4197.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4504.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 487.5 კვ.მ-ის ნაცვლად 486.82 კვ.მ, ხოლო პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართობი 4755.7 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4764.37 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 747.07 კვ.მ-ის ნაცვლად 746.39 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ- ეკონომიკური მაჩვენებლები: საერთო ფართობი: 4504.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 486.82 კვ.მ, ხოლო პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები: საერთო ფართობი: 4764.37 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 746.39 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 დეკემბრის №4788097 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.